17/01/2021

რა ევალება ნათლიას? – წმ. გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი

ნათლია ვალდებულია ზრუნავდეს თავისი ნათლულის სულიერი დონის ამაღლებისა და მომავალი საუკუნო ცხოვრების დამკვიდრებისათვის. ამისათვის, პირველ რიგში, თავად უნდა იყოს მონათლული, სულიერი და სულის ცხონების მაძიებელი. ნათლობის დროს დიდი მადლი გადმოდის ნათლიაზე და ასევე,დიდი პასუხიმგებლობაც ეკისრება მას თავისი ნათლულის ცხოვრებაზე. დაუდევრობის შემთხვევაში,თუ ნათლია არ ზრუნავს თავისი ნათლულის ეკლესიური ცხოვრებისათვის, მას ეს მეტად დიდ სასჯელად ედება. ნათლული რომ წარწყმდეს და ჯოჯოხეთში მოხვდეს, ნათლიასაც ძლიერ მოეკითხება, თუ როგორ და რამდენად იზრუნა მან თავისი ნათლულის სულის გადარჩენისათვის.

წმ. გაბრიელი, აღმსარებელი და სალოსი

— ambioni.ge